



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 137

2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ


სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის და მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარგენილია შესაბამისი პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა დანართი №1 - ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 7 ფურცლად);
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

3



ვაჟა შუბითიძე

დანართი #1

ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების სია

№	სკოლა	დირექტორი (სახელი, გვარი)
1	ქალაქ ხაშურის #1 საჯარო სკოლა	მორის დანდურიშვილი
2	დ. კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის #2 საჯარო სკოლა	თამარ მახათაძე
3	ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა	ალექსანდრე ელიაშვილი
4	ქალაქ ხაშურის #4 საჯარო სკოლა	ნანა გაგნიძე
5	ქალაქ ხაშურის #5 საჯარო სკოლა	მედეია კაპანაძე-ავალიშვილი
6	გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლა	თამარ ხადური
7	ქალაქ ხაშურის #7 საჯარო სკოლა	მანანა ლაცაბიძე
8	ქალაქ ხაშურის #8 საჯარო სკოლა	მანანა ხიჩაკაძე
9	ქალაქ ხაშურის #9 საჯარო სკოლა	მამუკა ხაჩიძე
10	ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #1 საჯარო სკოლა	დავით ჩადუნელი
11	ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #2 საჯარო სკოლა	დალი ბროლიძე
12	ლესია უკრაინკას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #3 საჯარო სკოლა	ნანა სხილაძე
13	დაბა სურამის #4 საჯარო სკოლა	ალექსანდრე ლომიძე
14	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალის საჯარო სკოლა	კახა ღონღაძე
15	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეკამის საჯარო სკოლა	მამუკა მათიაშვილი
16	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლა	მიხეილ დევაძე
17	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლა	მაია ჯაფარიძე
18	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყის საჯარო სკოლა	მამუკა მაჭარაშვილი

19	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევის საჯარო სკოლა	თამაზ ნოზაძე
20	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა	თამარ გაგლოშვილი
21	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლა	რუიზან მარაბდელი
22	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეზორის საჯარო სკოლა	ალექსანდრე ჭადაშვილი
23	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა	ლიანა ლომიძე
24	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა	ზურაბ ლომიძე
25	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა	ნატალია ბლიაძე
26	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფერის საჯარო სკოლა	ნინო ლომსაძე
27	ხაშურის მუნიციპალიტეტის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა	მანანა ბასიაშვილი
28	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხის საჯარო სკოლა	ასმათ ბერიძე-კოპაძე
29	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წაღვლის საჯარო სკოლა	თამარ ლომიძე
30	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომის საჯარო სკოლა	ნანული პაპუაშვილი
31	ივანე ხრიკულის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სოფელ ხცისის საჯარო სკოლა	ლელა ქვრივიშვილი
32	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისის საჯარო სკოლა	ბედუნი ლომსაძე
33	ა(ი)პ საქართველოს საპატრიარქო „დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი“	ეპისკოპოსი სვიმეონი (თეიმურაზ ცაკაშვილი)
34	შ.პ.ს. „გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელი“	მარინე ხაჩიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებათა სია

№	თვეების დასახელება	მისამართი	აღსაზრდელოთა რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 1	ხაშური ლომოურის ქუჩა №7	220
2	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 3	ხაშური ხეთაგუროვის ქუჩა №12	157
3	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 4	ხაშური გურამიშვილის ქუჩა №4-ა	220
4	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 5	ხაშური მაისის ქუჩა №24	232
5	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 6 ი	ხაშური თევდორე მღვდლის ქუჩა №53	125
6	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 7	ხაშური თამარ მეფის ქუჩა №14	220
7	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 8	ხაშური მინისტარის დასახლება	60
8	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 9	დაბა სურამი	170
9	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 10	სოფელი ცხრამუხა	55
10	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 11	სოფელი ალი	50
11	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 12	სოფელი ოსიაური	65
12	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 13	სოფელი გომი	60
13	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 14	სოფელი ვაყა	---
	ს უ ლ		1634

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებისა, სადაც გათვალისწინებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებების ჩატარება

1. შენობა-ნაგებობები, სადაც ტარდება სადერატიზაციო სამუშაოები

N	დერატიზაცია შენობა-ნაგებობების მიხედვით	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	დასამუშევრელი კვ.მ. თვეში
1	2	3	4	5
1	დევნილთა საცხოვრებელი შენობა ქ.ხაშური, ვაჟა-ფშაველას ქ. №13 (N2 ბაგა-ბაღი)	დერატიზაცია	კვ.მ	800
2	დევნილთა საცხოვრებელი შენობა დ.სურამი, სარაჯიშვილის №14 (N14 პროფსასწავლებელი)	დერატიზაცია	კვ.მ	1000
3	დევნილთა საცხოვრებელი შენობა დ.სურამი, სოფ. ჩუმათელეთი (სანატორიუმი "სურამი")	დერატიზაცია	კვ.მ	1000
4	დევნილთა საცხოვრებელი შენობა ქ.ხაშური, სტალინის ქ. № 34 (N109 პროფსასწავლებელი)	დერატიზაცია	კვ.მ	700
5	ქალაქის საავადმყოფო, ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. №38	დერატიზაცია	კვ.მ	990
6	N64 პროფტექნიკური სასწავლებელი ქ.ხაშური, სტალინის ქ. № 14	დერატიზაცია	კვ.მ	700
7	გ.ს.მ. ბინა ქ.ხაშური, 9 აპრილის ქ. №14	დერატიზაცია	კვ.მ	180
8	შპს „ვერა“ქ. ხაშური ლომოურის მე-2 ჩიხი	დერატიზაცია	კვ.მ	240
9	დ.სურამი სანატორიუმი "მზიური" აღმაშენებლის ქ.100	დერატიზაცია	კვ.მ	600
10	დ.სურამში სანატორიუმი "ნაკადული" სოფ. ჩუმათელეთი	დერატიზაცია	კვ.მ	400

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

2017 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 და 22-ე მუხლების, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე და შესაბამისად. მისი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება.

მუხლი 2. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა

1. მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში (დანართები #1; #2) გეგმაზომიერად განხორციელდეს ღონისძიებები სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობის შემოწმების მიზნით; ქმედითი კონტროლი დაწესდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულ აღმოფხვრაზე.
2. საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში ხელი შეეწყოს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.
3. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში (მათ შორის უმწეოთა უფასო სასადილოში) ზედამხედველობა დაწესდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობაზე.

მუხლი 3. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები

1. ეპიდსაშიშროებისას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გატარდეს პრევენციული და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებები.
2. გატარდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევების ხელშეწყობის ღონისძიებები.

3. გატარდეს დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებები იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას (მათ შორის მაწანწალა ძაღლების შეგროვება, გამრავლების რეგულაცია თანამედროვე ჰუმანური მეთოდების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში - ევთანაზია).
4. დაავადებათა პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის შესაბამის ობიექტებში ორგანიზება გაუკეთდეს დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებებს (დანართ # 3).
5. უზრუნველყოფილი იქნეს პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის მოწოდებული მასალების დადგენილი პროცედურების მიხედვით მიღება, შენახვა და განაწილება.

მუხლი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა

1. სპეციალური გეგმის მიხედვით, სეზონურად, ორგანიზება გაუკეთდეს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში ქუჩების, მოედნების, სკვერების, სასაფლაოთა მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის მასობრივ დათვალიერებას.
2. შესაბამისი უწყებებიდან პერიოდულად გამოთხოვილი იქნეს დასახლებული პუნქტების მიხედვით მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის გამოკვლევის შედეგები და მიეცეს მას საჭირო რეაგირება.
3. გარემოს დაცვის სფეროში კომპეტენტური ორგანოების მონაწილეობით შესწავლილ იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნახმარი და ჩამდინარე წყლებით მდინარეების დაბინძურების მდგომარეობა და მომზადდეს წინადადებები საკითხის რადიკალურად გადასჭრელად.

მუხლი 5. მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

1. სპეციალური გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჩატარდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. მასში ყველა ასაკისა და ჯგუფის მოსახლეობის ფართოდ მონაწილეობის მიზნით დაწესდეს წამახალისებელი პრიზები და ჯილდოები.
2. თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტუბერკულოზის, შიდსის პროფილაქტიკის მიზნით, საცხოვრებელი ან/და სწავლების ადგილების მიხედვით, ჩატარდეს ახალგაზრდობის სანგანათლების ღონისძიებები (ლექციების, საუბრების ჩატარება, თემატური „მრგვალი მაგიდების“ მოწყობა,

საგაზეთო სტატიების გამოქვეყნება; ამ საკითხებზე თვალსაჩინოების საშუალებებისა და სპეციალური ლიტერატურის (ბროშურები) გავრცელება).

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

1. პროგრამა ფინანსდება მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან - მუნიციპალური პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.
2. პროგრამის დაფინანსების სავარაუდო მოცულობა 95 0 0 0 ლარს შეადგენს.

მუხლი 7. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. პროგრამას (გარდა მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ - მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიის (სავარაუდო მოცულობა - 90 200 ლარი) ხარჯზე.
2. პროგრამის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება (სავარაუდო მოცულობა 4 800 ლარი) ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.
3. პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამსახურისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.
4. პროგრამის მონიტორინგს (გარდა მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა) ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
5. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული სუბიექტები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიმუშაონ პროგრამის შესაბამისი მუხლებით მათზე დაკისრებული ღონისძიებების განხორციელების კონკრეტული კალენდარული გეგმა-გრაფიკები და ყოველი კვარტლის ბოლოს წარუდგინონ ანგარიში მონიტორინგის განმახორციელებელ სამსახურებს მისი შესრულებისა და მიღწეული შედეგების შესახებ (განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური კალენდარულ გეგმა-გრაფიკსა და კვარტალურ ანგარიშს წარუდგენს კურატორ გამგებლის მოადგილეს).